სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080131304305019

№ 3973

30 / სექტემბერი /
2019 წ.

შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 3 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინის“ (ს/ნ: 231165529) 2019 წლის 3 სექტემბრის № 03/09-1 მომართვა (რეგისტრაციის №9441), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინმა“ 2019 წლის 11 და 23 სექტემბერს წარმოადგინა 2019 წლის 11 სექტემბრის № 11/09-4 და 2019 წლის 23 სექტემბრის № 23/09-2 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის №9801 და №10171), რომლებითაც გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 5 სექტემბრის №3468 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ ისინი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინის“ (ს/ნ: 231165529) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილების გათვალისწინებით იწურება 2019 წლის 7 ოქტომბერს აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინს“ (ს/ნ: 231165529) 2019 წლის 8 ოქტომბრიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე